საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

11 09 2020 წ. №123 ქ. თბილისი

ანიმაციური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/5) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.2020 წლის 11 სექტემბერს შეიქმნას ანიმაციური ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/5) განმხილველი საექსპერტო კომისია 5 წევრის შემადგენლობით:

1. ნოდარ ბეგიაშვილი-რეჟისორი/ანიმატორი;
2. გიორგი მასხარაშვილი – რეჟისორი;
3. ალეკო ჩიღვინაძე-სცენარისტი;
4. დათო კიკნაველიძე-ანიმატორი;
5. გიორგი ჯინჭარაძე-ილუსტრატორი;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.
3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.
4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება გიორგი ჯინჭარაძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, გიორგი ჯინჭარაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე მივიჩნევ, რომ გიორგი ჯინჭარაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2014 წელს გიორგი ჯინჭარაძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სპეციალობით – ოფორტი, ლითოგრაფია, პოსტერის დიზაინი.

სხვადასხვა წლებში გიორგი ჯინჭარაძე მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატში, ჟურნალში „First Floor Group" მხატვარად, ილუსტრატორად და დიზაინერად, ახალგაზრდა ილუსტრატორებით დაკომპლექტებულ სახელოსნოში წიგნის ილუსტრატორად, იყო თბილისის წიგნის ბაზრობის და წიგნის დღეების ორგანიზატორი, მონაწილე და კურატორი, ასევე ფრანქფურტში წიგნის ბაზრობის მონაწილე და წიქარას მუზეუმის იდეის ავტორი.

გიორგი ჯინჭარაძის განათლების, პროფესიონალიზმის, სამუშაო გამოცდილებისა და თანამედროვე ხედვის გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ნოდარ ბეგიაშვილის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური შესაძლო) კანდიდატის ნოდარ ბეგიაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ნოდარ ბეგიაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი კონკურსის საექსპერტო კომისიის წევრად.

ნ. ბეგიაშვილი 1975 – 1980წწ. სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტში, დრამის სარეჟისორო ფაკულტეტზე (მიხეილ თუმანიშვილის კლასი). 1981 - 2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის I არხზე, დამდგმელ რეჟისორად; 1999წ. დაარსა სტუდია "ტელევიზორი". 2009 წლიდან ნოდარ ბეგიაშვილი საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრია. ნ. ბეგიაშვილს საბავშვო ნახატების მიხედვით შექმნილი აქვს ანიმაციური ფილმები: „ტელევიზორი -94", „ანდრო და დარო", „უზარმაზარი ცა", „შემოდგომის ავტობუსი", „პონტო, -შავი ზღვა", რომელთა დიდი უმრავლესობა დაჯილდოვდა პრესტიჟული პრიზებით და ჯილდოებით.

ნოდარ ბეგიაშვილს, როგორც განათლებულ და მაღალი კლასის კინოხელოვანს და ანიმაციური კინოს თემატიკის საფუძვლიანად მცოდნე პროფესიონალს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება გიორგი მასხარაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, გიორგი მასხარაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ის საფუძველზე მივიჩნევ, რომ გიორგი მასხარაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2004 წელს გ მასხარაშვილმა დაამთავრა შოთა რუსთაველის თატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინორეჟისურის ფაკულტეტი, პარალელურად იგი სწავლობდა „საქართველოს სახელმწიფო სამთო გამყოლთა სკოლაში" და მუშაობდა მაშველად ვერტმფრენზე.

გიორგი მასხარაშვილს გადაღებული აქვს ორი სრულმეტრაჟიანი ფილმი „ბროდვეი 45" და „მესაათე". ფილმებზე „მედიატორი", „პირველი ღმერთის შემდეგ", „გაყინული შადრევნების წელიწადი", „ფარაჯანოვი" და „მესაათე" გ. მასხარაშვილი მუშაობდა როგორც დამდგმელი მხატვარი.

გ მასხარაშვილს გამოცემული აქვს საბავშვო სათავგადასავლო რომანი „14 კრისტალის თეორია", რომელიც 2019 წელს დაჯილდოვდა ლიტერატურული პრემიით „საბა" და „იაკობ გოგებაშვილის პრემიით" – საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისთვის.

გიორგი მასხარაშვილს, როგორც ნიჭიერ და წარმატებულ ახალგაზრდა შემოქმედს, ვიწვევე საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ალეკო ჩიღვინაძის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ალეკო ჩიღვინაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ალეკო ჩიღვინაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყებებითი მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ალეკო ჩიღვინაძემ სწავლა განაგრძო თემურ ჩხეიძის სახელოსნოში დრამატურგიის სპეციალობით, რომელიც დაასრულა 2016 წელს.

2016 წელს ალეკო ჩიღვინაძე დაესწრო საერთაშორისო სემინარს დრამატურგებისთვის „Next Stage Europe" ქ. ბერლინში, 2018 წელს სცენარის განვითარების პროგრამას „Mediterranean FilmInstitute" კუნძულ როდოსზე.

ალეკო ჩიღვინაძის პიესებს მიღებული აქვთ არაერთი პრესტიჟული ჯილდო: 2013 წელს ლიტერატურული პრემია „საბა" საუკეთესო პიესისთვის, 2016, 2017, 2018 წლებში მიხეილ თუმანიშვილის თეატრის ფონდის პრემია სუკეთესო პიესისთვის, 2018, 2019 წლებში იაკობ გოგებაშვილის პრემია საუკეთესო საბავშვო პიესისთვის, 2019 წელს პრემია „დურუჯი" წლის საუკეთესო ქართული ქართული პიესისთვის.

2016 წელს ალეკო ჩიღვინაძის პიესების მიხედვით დადგმულია სპექტაკლები:, ,სამშობლო", „ოლიმპიური თამაშები" და „მარინა რევია" - სამეფო უბნის თეატრში, 2018 წელს „მიწა თავისას მოითხოვს" – მარჯანიშვილის თეატრში, 2019 წელს „მარინა რევია" – ფოთის თეატრში.

2012-2013 წლებში ა. ჩიღვინაძე არის ტელევიზია „GDC" –ის გადაცემის „„ლიტერატურული უწონადობა" პროდიუსერი, 2015-2016 წლებში სატელევიზიო სერიალის „ტიფლისი" (პირველი სეზონი) სცენარის ავტორი, 2014-2016 წწ. შუადღის გადაცემის ლიტერატურული ნაწილის წამყვანი,. 2017-2018 წლებში ტელევიზიის „არტარეა" გადაცემის „მოიარე საქართველო" ავტორი და წამყვანი.

ა. ჩიღვინაძეს გამოცემული აქვს პიესების კრებული და რამოდენიმე წიგნი. სხვადასხვა წლებში იგი თანამშრომლობდა გამოცემებთან „ცხელი შოკოლადი", „ინდიგო", „ნეტგაზეთი", „პუბლიკა".

ალეკო ჩიღვინაძეს, როგორც ახალგაზრდა, წარმატებულ და მაღალი მხატვრული გემოვნების მქონე დრამატურგს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება გიორგი ჯინჭარაძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, გიორგი ჯინჭარაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე მივიჩნევ, რომ გიორგი ჯინჭარაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2014 წელს გიორგი ჯინჭარაძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, სპეციალობით – ოფორტი, ლითოგრაფია, პოსტერის დიზაინი.

სხვადასხვა წლებში გიორგი ჯინჭარაძე მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატში, ჟურნალში „First Floor Group" მხატვარად, ილუსტრატორად და დიზაინერად, ახალგაზრდა ილუსტრატორებით დაკომპლექტებულ სახელოსნოში წიგნის ილუსტრატორად, იყო თბილისის წიგნის ბაზრობის და წიგნის დღეების ორგანიზატორი, მონაწილე და კურატორი

გიორგი ჯინჭარაძის განათლების, პროფესიონალიზმის, სამუშაო გამოცდილებისა და თანამედროვე ხედვის გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება დათო კიკნაველიძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, დათო კიკნაველიძე პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ის საფუძველზე, მივიჩნევ, რომ დათო კიკნაველიძის განათლება, კვალიფიკაცია და პირადი თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

დ. კიკნაველიძე ფლობს ხელოვნების მაგისტრის ხარისხს სახვითი ხელოვნების დარგში და ბაკალავრის ხარისხს ანიმაციის ხელოვნების დარგში. იგი არის რობერტ ბოშის გერმანია/არმოსავლეთ ევროპის კო-პროდუქციის კინოპრიზის მფლობელი. არის შემოქმედებითი გაერტიანება „ლირა ფროდაქშენის" სამხატვრო ხელმძღვანელი.

დ. კიკნაველიძე აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ანიმაციურ და კომპიუტერილი თამაშების სტუდიებთან, როგორებიცაა Disney, Nickelodeon, Microsoft, Ubisoft და სხვა, იგი არის მრავალი საერთაშორისო ინდუსტრიული ღონისძიების სპიკერი და კონკურსების ჟიურის წევრი, მათ შორის Poznan Game Arena, BLON Animation and Game Festival და სხვა.

დათო კიკნაველიძის ანიმაციური ფილმი „ჯინო", რომლის პრემიერაც Annecy International Animation Film Festival-ზე შედგა, მიწვეული იყო 300-ზე მეტ საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში და დაჯილდოვდა მრავალი პრესტიჟული პრიზით და ჯილდოთი.

დათო კიკნაველიძეს, მისი მაღალი პროფესიონალიზმის, თანამედროვე ხედვისა და პიროვნული თვისებების გთვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

გიორგი მასხარაშვილი.
ბიო-ფილმოგრაფია.

დაიბადა 1977. 1994 წელს(1994-2000) დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, დაზგური გრაფიკის ფაკულტეტზე.
1999 წელს ჩააბარა თბილისის კინოსა და თეატრის ინსტიტუ- ტში, (1999-2004)კინორეჟისურის ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა „საქართველოს სახელმწიფო სამთო გამყოლთა სკოლაში“ და მუშაობდა მაშველად ვერტმფრენზე.
გადაღებული აქვს სრულმეტრაჟიანი ფილმები „ბროდვეი 45“ (2007), „მესაათე“ (2012).
დამდგმელ მხატვრად ნამუშევარი აქვს ფილმებზე „მედიატორი“ (დიტო ცინცაძე), „პირველი ღმერთის შემდეგ“ (მიხეილ კალატოზიშვილი), „გაყინული შადრევნების წელიწადი“ (ვანო ბურდული), „ფარაჯანოვი“ (ოლენა ფეტისოვა), „მესაათე“ (გიორგი მასხარაშვილი),
2018 წელს გამოიცა „14 კრისტალის თეორია“- საბავშვო სათავგდასავლო რომანი.
2019 წელს „14 კრისტალის თეორია“ დაჯილდოვდა ლიტერატურული პრემია „საბა“ და „ იაკობ გოგებაშვილის პრემიით“ საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისთვის. თანამშრომლობს სხვადასხვა კინოკომპანიებთან, როგორც სცენარისტი და დამდგმელი მხატვარი.
ჰყავს ერთი ქალიშვილი- ალექსანდრა 10 წლის.

გ ი ო რ გ ი ჯინჭარაძე

DOB: 18/12/81 E-MAIL: giojincharadze.bac@gmail.com TEL: +995 598 167 440

WEB LINK: **jagjuga.wix.com/giojincharadze**

განათლება

1999 – 2004 **სამაგისტრო** **თსუ** **თბილისი, საქართველო**
კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით. სამ თვიანი პრაქტიკა საქართველოს პარლემენტში.

2008 – 2010 **ინგლისური ენა** **Malvern House & London House** **ლონდონი, UK**
სამი წლის განმავლობაში გავდიოდი პრაქტიკას ლონდონის შუაგულში, ვეუფლებოდი ენას როგორც საკლასო ოთახში ასევე სხვადასხვა შეთავსებითი სამსახურების ქონის პროცესში.

2012 – 2014 **რეკლამის გრაფიკა** **სამხატვრო აკადემია** **თბილისი, საქართველო**
ოფორტი, ლითოგრაფია პოსტერის დიზაინი. მივიღე უმაგლესი შესაძლებელი შეფასებები სამაგისტრო ნამუშევრის ჩათვლით.

სამუშაო გამოცდილება

2017-2018 **წიგნის ბაზრობა** **წიქარას მუზეუმი** **ფრანკფურტი**
ორგანიზატორი, კურატორი მონაწილე

2014 – 2016 **წიგნის დღეები** **წიგნის ფესტივალი** **საქართველო**
ორგანიზატორი და კურატორი თბილისის წიგნის დღეებზე.

2013 – 2014 **წიგნის ილუსტრატორი** **Book Art Centre** **საქართველო**
ახალაგზრდა იუსტრატორებით დაკომპლექტებული სახელოსნო სადაც იქმნება საბავშვი ილლუსტრირებუი წიგნები.

2013 – 2014 **დიზაინერი** **First Floor Group** **საქართველო**
ჟურნალის მახატვერი, ილუსტრატორი და დიზაინერი.

2007 - 2008 **მოწვეული სპეციალისტი** **UNICEF** **საქართველო**
სხვადასხვა ჯგუფებში მუშაობის გამოცდილება თემაზე ძალადობა ბავშვების წინააღმდეგ.

2006 – 2007 **სპეციალისტი** **სახალხო დამცველი აპარატი** **საქართველო**
ბავშვის უფლებებსი სპეციალისტი საქართველოში. მონიტორინგი საქართველოს ბავშვთა სახლების და არასრულწლოვანთ დაკავების დაწესებულებებში.

2006 - 2007 **ინტერიერის დიზაინი** **'ამქარი'** **საქართველო**

დამატებითი ინფორმაცია

ენები: ქართული – Fluent; ინგლისური – Fluent; რუსული – Fluent.
ICT: Microsoft office – proficient; Photoshop – highly competent. Indesign – highly competent
სათხილამურო ინსტრუქტორი: 5 წ ლი ს
გ ა მ ოც დი ლე ბ ა ს ა თხ ი ლ ა მ ურ ოს პ ორ ტ ს კ ოლ ა შ ი .

ალექს ჩიღვინაძე

aleqsa@gmail.com
555 50 66 36

სამუშაო გამოცდილება

ტელევიზია "GDS"

სატელევიზიო სერიალი „ტიფლისი" (I სეზონი), სცენარისტი - 2015-2016
შუადღის გადაცემა, ლიტერატურული ნაწილის წამყვანი - 2014-2016
„ლიტერატურული უწონადობა", პროდიუსერი - 2012-2013

ტელევიზია "არტარეა"

გადაცემა „მოიარე საქართველო", ავტორი, წამყვანი - 2017-2018

განათლება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003- 2007
გამოყენებითი მათემატიკა
ბაკალავრი

თემურ ჩხეიძის სახელოსნო, 2014-2016
დრამატურგი
ორწლიანი პროგრამა

ჯილდოები

ლიტერატურული პრემია „საბა" საუკეთესო პიესა, 2013
თუმანიშვილის თეატრის ფონდის პრემია საუკეთესო პიესა, 2016, 2017, 2018
თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი, სცენაზე განხორციელებული ახალი ქართული პიესა - 2016
გოგებაშვილის პრემია, საუკეთესო საბავშვო პიესა, 2018, 2019
პრემია „დურუჯი", წლის საუკეთესო ქართული პიესა, 2019

პროფესიული განვითარება

Next Stage Europe
საერთაშორისო სემინარი დრამატურგებისთვის, ბერლინი, 2016

Mediterranean Film Institute
სცენარის განვითარების პროგრამა, როდოსი, ნისიროსი, 2018

დადგმული პიესები

სამეფო უბნის თეატრი
«სამშობლო", 2016

„ოლიმპიური თამაშები“, 2016
„მარინა რევია“, 2016

მარჯანიშვილის თეატრი, დამოუკიდებელი პროექტი
„მიწა თავისას მოითხოვს“, 2018

ფოთის თეატრი
„მარინა რევია“, 2019

პუბლიკაციები

„მიმეგობრე! მარტო ვარ სკოლაში“ (თანაავტორი, ელექტრონული წიგნი), 2019

„იცეკვე, ალუბალ, იცეკვე“ (სურათებიანი წიგნი), 2019

„ჩიტები თბილისში“ (სურათებიანი წიგნი), 2018

„ჰიპა ირჩევს პროფესიას“ (სურათებიანი წიგნი), 2017

„იყო ერთი გოგო“ (ავტორთა ჯგუფი), 2017

„კარი გამიღე“ (ავტორთა ჯგუფი), 2013

„შობა ღამის აფთიაქში“ (ლექსები, ელექტრონული წიგნი), 2013

„ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“ (პიესების კრებული), 2012

„ვარდისფერი ავტობუსი“ (ავტორთა ჯგუფი), 2007

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, „ინდიგო“, „ნეტგაზეთი“, „პუბლიკა“

დათო კიკნაველიძე– რეჟისორი /პროდიუსერი/ მხატვარი, ანიმატორი



დაიბადა 1989 წ. ქ. თბილისში.

ფლობს **ხელოვნების მაგისტრის** ხარისხს **სახვითი ხელოვნების** დარგში და **ბაკალავრის** ხარისხს **ანიმაციის ხელოვნების** დარგში.
არის **რობერტ ბოშის გერმანია/აღმოსავლეთ ევროპის კო-პროდუქციის კინო პრიზის** მფლობელი.
არის **შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება „ლირა ფროდაქშენის“** სამხატვრო ხელმძღვანელი.

აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ანიმაციურ და კომპიუტერული თამაშების სტუდიებთან, როგორიცაა Disney, Nickelodeon, Microsoft, Ubisoft და სხვ.
აგრეთვე ქართულ სტუდიებთან Lemondo, AniMMal, Storm Briner Studios და სხვ.
2012 წელს მუშაობდა **Larva Game Studios** - ში (მექსიკა).

არის მრავალი საერთაშორისო ინდუსტრიული ღონისძიების სპიკერი და კონკურსების ჟიურის წევრი, მათ შორის, Poznan Game Arena, BLON Animation and Game Festival და სხვ.

მისი ანიმაციური ფილმი „ჯინო“(Geno), რომლის პრემიერაც მსოფლიოს მოწინავე ანიმაციურ ფესტივალზე **Annecy International Animation Film Festival** - ზე შედგა, მიწვეული იყო 300 -ზე მეტი საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამებში, მათ შორის: **ანიმა-მუნდის, ჯიფონის, სარაევოს, პალმ-სპრინგის, ჩიკაგოს, სეულის, კინეკო (იაპონია), Soopertoon, ... და სხვ.**
მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო პრიზი და ჯილდო, მათ შორის: **„საუკეთესო 3დ სათავგადასავლო დრამისათვის (Best 3D Adventure Drama Award)** პალმ სპრინგის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალზე (აშშ), **გრან-პრი საუკეთესო ანიმაციური ფილმისათვის (Best Animation film)** ლუკნოვის საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე CMS,INTERNATIONAL CHILREN'S FILM FESTIVAL (ინდოეთი), **საუკეთესო ანიმაციური ფილმი (Best Animation Film)** SWIFF South West London International Film Festival-ზე, **Best Animation Film** - Green Vision International Environmental Film Festival და სხვ.
ფილმის კინო დისტრიბუცია მრავალ ქვეყანაში განხორციელდა და გარდა ამისა, ჩართულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამებში.

ფილმოგრაფია

განდეგილი (წარმოებაში) - მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი, 12 წთ, ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის კონკურსების გამარჯვებული პროექტი - რეჟისორი, არტ-დირექტორი, ანიმატორი
ჯინო (2017) - მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი, 12,47 წთ. ფილმის პრემიერა შედგა ანესის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალზე (Annecy International Animation Film Festival 2017), ფილმს მოგებული აქვს მრავალი საერთაშორისო ჯილდო და **Robert Bosch Co-Production Film Prize** . - რეჟისორი, სცენარის ავტორი, დამდგმელი მხატვარი.

ჰორიზონტი (2017) - მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი, 4,45 წთ. ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა HUMRA-ს კონკურსის გამარჯვებული პროექტი. პრემიერა შედგა მე-60 ლაიფციგის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ფესტივალზე. ნაჩვენები იყო და მიწვეულია მრავალ საერთაშორისო კინოფესტივალზე, მათ შორის ტრიესტეს კინოფესტივალზე, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე და სხვ.

ვაკუუმი (2010) - ანიმაციური ფილმი, 6 წთ. რეჟისორი, დამდგმელი მხატვარი, სცენარის თანაავტორი, ანიმატორი.
შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, Anim'est 2010, International, Animation Film Festival (რუმინეთი). International Short Film Festival, Detmold, 2011 (გერმანია), Enfoque, international Christian Short Film Festival,2012 (პუერტო რიკო), Eastern Breese 2013 მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (კანადა) და სხვ.

დოქტორ მაკ სტაფინსი (Doc McStuffins) კომპიუტერული თამაში, წამყავანი ანიმატორი მწარმოებელი Disney

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ მუზეუმის ჰოლოგრამული კომპლექსი - არტ-დირექტორი, ჰოლოგრამული ექსპოზიციის ავტორი

The Way of Wrath - ფართომასშტაბიანი საერთაშორისო RPG თამაში, არტ-დირექტორი

პიქსელჰანთერი (Pixel Hunter)- კომპიუტერული თამაში, დამდგმელი მხატვარი, კონცეპტ არტისტი, სტუდია LEMONDO -ს პროექტი, თამაში იყიდება საერთაშორისო IOS მარკეტზე: IOS App Store

Toon Wars - კომპიუტერული თამაში, დამდგმელი მხატვარი, კონცეპტ არტისტი, მოდელინგ და ტექსტურინგ არტისტი, სტუდია LEMONDO -ს პროექტი

Cylinder Game - კომპიუტერული თამაში, დამდგმელი მხატვარი, კონცეპტ არტისტი, სტუდია LEMONDO -ს პროექტი, თამაში იყიდება საერთაშორისო IOS მარკეტზე: **IOS App Store**

GEO Police (2012) - ვიდეოთამაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი; წამყვანი ანიმატორი, თრეილერის რეჟისორი.

დედამიწის უკანასკნელი დღე (Last Day on Earth) (2012 - 2013) - ვიდეოთამაში, Larva Game Studios (მექსიკა); მოდელერი, წამყვანი ანიმატორი

Crazy Horse (2011)– ანიმაციური ფილმი, 1,5 წთ. მე-18.საერთშორისო ფილმების ფესტვალის 48h Animation Jam-ის პროექტი;

წელიწდის დროები (2009) - ანიმაციური ფილმი, თანაავტორი, რეჟისორი, დიზაინერი, ანიმატორი;

ისევ...და ისევ... (2009) - ანიმაციური ფილმი, 2 წთ. რეჟისორი, სცენარის ავტორი, დამდგმელი მხატვარი;

ფერები - ანიმციური ფილმი, 1,5 წთ. რეჟისორი, სცენარის ავტორი, დამდგმელი მხატვარი;

თანაპროდიუსერი:

კახეთის მატარებელი (2019) - მხატვრული ფილმი, 45 წთ. ეროვნული კინოცენტრის „ფილმის დასრულების კონკურსის" გამარჯვებული პროექტი, რეჟ. ლალი კიკნაველიძე. ფილმის პრემიერა შედგა მე-20 თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალზე.

ნოდარ ბეგიაშვილი (ბიოფილმოგრაფია)

მობ.: 5 77 46 61 08

ელ-ფოსტა: nodarbeg@gmail.com

ვებ-გვერდი: www.televeziri.org.ge

დაბ. 1958 წ. თბილისი.

1975 - 1980 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტში, დრამის სარეჟისორო ფაკულტეტზე, მიხეილ თუმანიშვილის კლასი.

1981 - 2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში, I არხზე, დამდგმელ რეჟისორად;

1999 წელს დაარსა სტუდია "ტელევეზირი" (www.televeziri.org.ge);

2009 – საქართველოს კინომატოგრაფისტთა კავშირის წევრი;

2013 - სახელმწიფო ჯილდო „სამოქალაქო თავდადებისთვის“.

<u>ბავშვების ნახატების მიხედვით შექმნილი ანიმაციური ფილმები:</u>

1994 - „ტელევეზირი-94“ 12 წთ.

1995 - „ანდრო და დარო“ 5 წთ.

1998 - „უზარმაზარი ცა“ 12 წთ.

1999 - „შემოდგომის ავტობუსი“ 14 წთ.

2001 - „პონტო, - შავი, შავი ზღვა“ 14 წთ.

2014 - დოკუმენტური ფილმი: „ექსპედიციები საქართველოს კუთხეებში“ 19 წთ.

(„ჩვენ ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვასურათებთ „ვეფხისტყაოსანს“)

<u>ფესტივალები და პრიზები:</u>

სატელევიზიო პროგრამა – **“ტელევეზირი-94”** 12 წთ.

1994 – საქართველო, თბილისი. „მანა-94“, საერთაშორისო ტელეფესტივალი
პრიზი: “საუკეთესო საბავშვო გადაცემისათვის“
1994 – რუსეთი, მოსკოვი და ორენბურგი. ТЕЛИК-94 “ოსტანკინოს“ (ОРТ) საერთაშორისო ტელეფესტივალი
პრიზები: “პირველი ხარისხის დიპლომი“ და “დიპლომი ახალი ჟანრის წარმატებული ძიებისათვის“

ანიმაციური ფილმი - **“შემოდგომის ავტობუსი“** 14 წთ.

1999 – უკრაინა, კიევი. ЭКО ЭФИР-99, TASIC-ის და BBC MPM-ის ეკოლოგიური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი
პრიზი: „პირველი ხარისხის დიპლომი“ და „სპეციალური პრიზი – საუკეთესო საბავშვო პროგრამისათვის”

ანიმაციური ფილმი - **“უზარმაზარი...ცა”** 12 წთ.

1999 – რუსეთი, სანქტ-პეტერბურგი. ЗЕЛЕНЫЙ ВЗГЛЯД-99, საერთაშორისო ფესტივალი. პრიზი: “საუკეთესო საბავშვო ფილმისათვის”
1999 – საფრანგეთი, პარიზი. RIENA-99, International Environmental Film Festival
პრიზი: “საუკეთესო ანიმაციური ფილმისათვის”
1999 – ფილმები “უზარმაზარი... ცა” და “შემოდგომის ავტობუსი” შეტანილია TACIS-ის ვიდეოთეკაში
2001 – საფრანგეთი, პარიზი. UNEP Global Video Competition of Ozone Layer Protection. Second Prize Global Winner and Second Prize Regional Winner.

ანიმაციური ფილმი - **“პონტო, შავი, შავი ზღვა”** 14 წთ.

2001 – გერმანია, ფრაიბურგი. OKOMEDIA-2001, 18th International Environmental Film Festival. პრიზი: “Hoimar-vn-Ditfurth-Priz”, (Best Children Film)
2001 – თურქეთი. ანტალია. 38th GOLDEN ORANGE International Film Festival
პრიზი: “The Best Animation Film” and “Jury Special Prize”
2001 – გერმანია, ბერლინი. ECOMOVE-2001, International Environmental Film Festival
პრიზი: “Royal Award”
2004 – გერმანია, ოლდენბურგი, 4th Oldenburger Kurzfilmtage zwergWERK ("Lange Georgische Nacht")
2005 – ვილნიუსი, ლიტვა, SKALVIJA GRUZIJOS KINO FESTIVALIS (ქართული ფილმების კვირეული)
2006 – რუსეთი, სუზდალი. მე-11 რუსეთის ანიმაციური ფილმების ფესტივალი. საპატიო მიწვევა
2006 – ვილნიუსი, ლიტვა. საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი TINDIRINDIS. პრიზი: "Best Made By Children"

<u>საბავშვო შემოქმედებითი აქციები „გაცოცხლებული ნახატები”:</u>

2001 – თბილისი, მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი
2002 – გერმანია, ჰამბურგი. KINDER KINDER-2002, საბავშვო საერთაშორისო ფესტივალი
2006, 2008 – თბილისი, „სამეფო უბნის“ თეატრი
2003 – ახალგორი, ბავშთა სახლი
2005 – ელ. ახვლედიანის ბავშთა ნახატების გალერეა, ფერეიდნელი ბავშვების ნახატების გამოფენა.
2006 – კახეთი, სოფ. მირზაანი (ფიროსმანის სახლ-მუზემი)

2003 - წლიდან, პროექტი: „ჩვენ ვკითხულობთ, ვსწავლობთ, ვასურათებთ „ვეფხისტყაოსანს“ (ექსპედიციები საქართველოს კუთხეებში)